საქართველოს ეროვნული არქივის პირველი
სამეცნიერო-საინფორმაციო კონფერენცია

საქართველოს არქივები

თ ე ზ ი ს ე ბ ი

2025

მანანა ჭუმბურიძე
საისტორიო ცენტრალური არქივი

ერეკლე II-ის მიერ 1735-1797 წლებში გაცემული საბუთები (ეროვნულ არქივში დაცული ისტორიული დოკუმენტები)

მეფე ერეკლე II-ის მრავალმხრივი მოღვაწეობა ხშირად გამხდარა დავის საგანი. მან შეძლო აელაგმა ვასალების თვითნებური მოქმედებები, დაამყარა წესრიგი სახელმწიფოში, ააშენა ეკლესიები, აღადგინა დანგრეული და დაცარიელებული სოფლები, გახსნა სასწავლებლები, ააღორძინა სამთამადნო საქმე, დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერებასა და განათლებას. იყო გლეხების დიდი ქომაგი და გლახაკების განმკითხავი. ეს და უამრავი კიდევ სხვა რამ, რაც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თან სდევდა, ასახულია მის ასეულობით დოკუმენტში, რომელიც საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სიძველეთსაცავშია დაცული.

მეფე ერეკლესთან დაკავშირებული დოკუმენტების დიდი ნაწილი ეროვნული არქივის საცავებში ინახება, კერძოდ ცენტრალური საისტორიო არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში.

აქ არის ერეკლე II-ის ბრძანებები, ოქმები, წყალობისა და შეწირულების წიგნები, სამოხელეო განაწესები, სასამართლო განაჩენები, არზები ოქმით (ამ შემთხვევაში რეზოლუციით), კერძო წერილები.

მიუხედავად მოუცლელობისა, ერეკლე მეტად მზრუნველი და მოსიყვარულე მამა იყო. მისი პირადი წერილების უმრავლესობა ამისი დადასტურებაა.

მეფე ერეკლეს საქმიანი და პირადი წერილები, ოქმები, წყალობის და შეწირულების წიგნები, განაჩენები, თითქმის ყველა, ლაშქრობის დროს იწერებოდა.

არქივში დაცული მისი თანადროული საბუთები ნათლად ასახავენ მეფის ძლიერ ბუნებას, შინაგან ძალას, სამართლიანობას, მზრუნველობას და დიდ სიყვარულს სამშობლოს მიმართ.

მანანა ბაკურაძე
ამბროლაურის ადგილობრივი წარმომადგენლობა

არქივის შევსება და მისი მნიშვნელობა

ამბროლაურის რაიონული არქივი 1939 წელს დაარსდა. 2010 წლის ნოემბრიდან ამბროლაურში დაცული საარქივო მასალა სრულად გადავიდა ქუთაისის ცენტრალურ არქივში, რის შემდეგაც ამბროლაურის იუსტიციის სახლში ადგილობრივი წარმომადგენლობა გაიხსნა.

არქივი, როგორც ცნობილია, ძირითადად დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან კომპლექტდება, აგრეთვე არქივის წყარო დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან. მასალა მრავალფეროვანია და ძალიან ხშირად მასში შორეული წარსულის ამსახველი დოკუმენტებიცაა დაცული.

მიუხედავად იმისა, რომ არქივების დიდი ნაწილი დაბინავებულია შესაბამის დაწესებულებებში, ჯერ კიდევ შეიძლება ისეთი დოკუმენტების მიკვლევა, რომლებიც ელის არქივისტის ან მკვლევარის ხელს. შესაბამისად, მიდის მუშაობა ასეთი მასალის მოძიებისა და როგორც დაფიქსირების, ისე შესწავლისათვის. ამგვარია როგორც წერილობითი დოკუმენტები, ისე ფოტომასალა.

მოხსენებაში საუბარი მექნება როგორც ამბროლაურის ადგილობრივი არქივის ისტორიაზე, ისე მოსახლეობაში მიკვლეულ ცალკეულ საარქივო დოკუმენტებზე.

სოფიო ჯობავა, საზოგადოებას და
საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

მომავლის ხედვა: საერთაშორისო ურთიერთობების როლი ეროვნული არქივის განვითარებაში

მოხსენებაში განხილულია საქართველოს ეროვნული არქივის საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკა – უკვე განხორციელებული ღონისძიებები და სამომავლო გეგმები. საერთაშორისო თანამშრომლობა არქივისთვის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ამდენად მნიშვნელოვანია დავინახოთ როგორც მიმდინარე პროექტების, ისე ამ თანამშრომლობის განვითარების გავლენა მის საქმიანობაზე.

პარტნიორობა: წარმატებული თანამშრომლობა უცხო ქვეყნების სხვადასხვა არქივთან; ერთობლივი პროექტების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს საუკეთესო გამოცდილების გაზიარებასა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

ცოდნის გაცვლა: საერთაშორისო კონფერენციები, ვორქშოფები და შეხვედრები, რომლებშიც არქივებში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ხდება. მიღებული ცოდნა და გამოცდილება აისახება როგორც ზოგადად, არქივის, ისე მისი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე.

კულტურული დიპლომატია: ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება საარქივო დოკუმენტების გაზიარებით, გამოფენების ორგანიზებითა და ერთობლივ საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობით.

საერთაშორისო კვლევები და განათლება: უცხოელი მკვლევარების მიერ არქივში დაცული მასალების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო კვლევებსა და განათლებას.

სამომავლო სტრატეგიული მიზნები:

ცნობადობის ამაღლება: საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული არქივის ცნობადობის ამაღლება და მისი, როგორც ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო პარტნიორის პოზიციონირება სხვადასხვა პროექტში.

გაფართოებული საერთაშორისო ქსელი: საქართველოს ეროვნული არქივის როლის გაფართოება საერთაშორისო საარქივო ქსელში და ახალი სტრატეგიული პარტნიორების შერჩევა.

კვლევების მხარდაჭერა: ეროვნული არქივის მასალების ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო კვლევებისთვის და განათლების პროგრამებისთვის.

ერთობლივი პროექტები: ერთობლივი გამოფენებისა და სხვა ღონისძიებების დაგეგმვა.

ექსპერტული ცოდნის გაღრმავება: თანამშრომლებისთვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზება მოწვეული ექსპერტების ჩართულობით როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში.

დასკვნა: საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს როგორც ეროვნული არქივის, ისე მისი თანამშრომლების პროფესიული და სტრატეგიული განვითარების ქვაკუთხედს. აუცილებელია, რომ ერთობლივად შევქმნათ ეროვნული არქივის დადებითი

ორგანიზაციული იმიჯი და წარმოვაჩინოთ მისი მნიშვნელობა საერთაშორისო სივრცეში, გავაძლიეროთ ეროვნული არქივის, როგორც ქართული კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის ელჩის როლი, რაც უზრუნველყოფს საარქივო საქმიანობაში ინოვაციური მიდგომების დანერგვას, ეროვნული მემკვიდრეობის პროექტების განხორციელებისას საერთაშორისო მხარდაჭერასა და ეროვნული არქივის ადგილს მსოფლიო საარქივო სივრცეში.

გიორგი კაკაბაძე
კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი

„ალავერდობა“ - ფილმის ახალი სიცოცხლე

გიორგი შენგელაიას მიერ 1962 წელს გადაღებული მხატვრული ფილმი „ალავერდობა“ ქართული კინომემკვიდრეობის გამორჩეული ნიმუშია.
ამ პერიოდში ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები მკაცრ შემოწმებას გადიოდა. ფილმის ჩაბარება ხდებოდა სპეციალური კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ. სანამ კინოსურათი ეკრანზე გავიდოდა და მას საბჭოთა მაყურებელი იხილავდა, კომისიას ფილმისთვის ვიზა უნდა მიეცა. „ალავერდობაც“ გახდა ცენზურის მსხვერპლი. ფილმის პირველად ვერსიაში ნათლად იგრძნობოდა იმ პერიოდის საბჭოთა უძრაობის აქცენტები, რაც ცალსახად თვალშისაცემი აღმოჩნდა კინოკრიტიკოსებისათვის. თავად ფილმი იმდენად მაღალმხატვრულად იყო შესრულებული, რომ ცენზურამ ბოლომდე ვერ გაიმეტა თაროზე შემოსადებად და ავტორს მისი გადაკეთება ურჩია. ფილმი გადაკეთდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ავტორმა დაამატა რამდენიმე კადრი და მთელ ფილმს დაადო სადიქტორო ტექსტი, რომელშიც მთხრობელი სარკაზმით უყვება მაყურებელს ძველი ტრადიციების, რელიგიური დღესასწაულებისა და წესჩვეულებების შესახებ.
საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლები წლების განმავლობაში ეძებდნენ ფილმის პირველად ვერსიას. 2024 წლის დასაწყისში გიორგი შენგელაიას შვილმა, ნიკუშა შენგელაიამ მამის სახლში რამდენიმე ფირი აღმოაჩინა. ამ მასალის არქივში გადატანისა და შესწავლის შემდეგ ფირებს შორის „ალავერდობის“ პირველადი, დაუცენზურებელი საავტორო ასლი აღმოჩნდა. მთელი რიგი ტექნიკური ინსპექტირებისა და რესტავრაციის შედეგად ფილმის ციფრული აღდგენა მოხერხდა და 2024 წლის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე შედგა ფილმის პირველადი ვერსიის საპრემიერო ჩვენება, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მაყურებელში, ასევე კინოს სპეციალისტებში.
მოხსენებაში საუბარი იქნება ფილმის პირველადი ვერსიის მნიშვნელობაზე ქართულ კინემატოგრაფიაში.

ირმა გეთია
ქუთაისის ცენტრალური არქივი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის ფონდებში დაცული გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ ფონდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა (ფ. 7) და ქუთაისის სასულიერო სემინარიის (ფ. 5) ფონდებს უჭირავს. ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, ქუთაისის ყოფილ გუბერნიაში პირველი ოფიციალური სახელმწიფო სასწავლებელი იყო. მისი ისტორია 1821 წლიდან იწყება და ათეულობით წლის განმავლობაში ერთადერთ სასწავლებლად რჩებოდა, ამიტომაც იქ არა ერთ გამოჩენილ პიროვნებას, როგორც სასულიერო, ასევე საერო მოღვაწეებს აქვს მიღებული პირველდაწყებითი განათლება. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ იოსებ ყიფშიძე, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეები, თედო ჟორდანია, ნიკოლოზ ღოღობერიძე და სხვა.

ასევე საინტერესოა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ფონდი. ქუთაისის სასულიერო სემინარიის დაარსება იმერეთის ეპისკოპოს წმინდა გაბრიელის (ქიქოძე) სახელს უკავშირდება. არსებობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად (1894-1904 წწ.), ამ სასწავლებელში არაერთ ცნობილ საზოგადო თუ სასულიერო მოღვაწეს უსწავლია, კერძოდ, აქ სწავლობდნენ: ცნობილი ექიმი და მწერალი, პედაგოგი ევსევი ლოსაბერიძე; ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე; ქართველი მწერალი, პუბლიცისტი გრიგოლ რობაქიძე; კომპოზიტორი, დირიჟორი კონსტანტინე ფოცხვერაშვილი; საზოგადო მოღვაწე და ისტორიკოსი გრიგოლ გიორგაძე და სხვები. ქუთაისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის ფონდებში დაცულია მათი საგამოცდო უწყისები, დაბადების მოწმობების ასლები, წარმატების მიმდინარე ჟურნალები, სასწავლებლის დამთავრების მოწმობები, თხოვნები სხვადასხვა საკითხებზე და სხვა.

ორივე ფონდში მრავალი საინტერესო დოკუმენტია დაცული იმერეთის ეპისკოპოსის წმინდა გაბრიელისა (ქიქოძე) და იმერეთის ეპარქიის სხვა მღვდელმთავართა შესახებ.

მანანა ლომიძე
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული არქივი

დუშეთის სამაზრო აღმასკომი
(მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ არქივში დაცული მასალების მიხედვით)

საკვლევი თემა: მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ არქივში დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფონდის - დუშეთის სამაზრო აღმასკომის შესწავლა და მეტ-ნაკლები სისრულით საინფორმაციო ტიპის მასალების წარმოჩენა (გაცნობა).

აქტუალობა: საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ არქივში დაცულია დუშეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის 1922-1929 წლების დოკუმენტები. აქ ინახება მასალები სასოფლო საბჭოების დაარსების, სახალხო განათლების საქმის რეორგანიზაციის, სკოლების აშენების, ხევსურეთის საბჭოს სარაიონო ყრილობების ოქმები, ინფორმაცია ხევსურეთის მდგომარეობასა და ამ მხარის ზნე-ჩვეულებებზე, საარჩევნო მასალები, მიმოწერები მილიციასთან; ფოტოდოკუმენტებს შორისაა 1918 წელს დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების ორგანიზატორების პორტრეტები, სოფელ ნატახტრის ეკლესია, სადაც 1918 წელს აჯანყებულ გლეხთა მიტინგი ჩატარდა, სახლი დუშეთში, სადაც 1918 წ. 25 ივლისს დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა გაიმართა და სხვა.

პრობლემა: დუშეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში დაცული მასალები ფუნდამენტურად არ შესწავლილა.

მეთოდი: მასალების გაცნობა, თავმოყრა, თემატურად დალაგება, გაანალიზება და დასკვნების გამოტანა.

დასკვნა: მოხსენებაში წარმოდგენილი მასალები საშუალებას მოგვცემს შევავსოთ აქამდე არსებული ცოდნა და სრულიად ახლებურად წარმოვაჩინოთ აღნიშნული ფონდი.

მერაბ კეზევაძე
ქუთაისის ცენტრალური არქივი

ქუთაისის ცენტრალური არქივი დაარსებიდან დღემდე
(ზოგადი მიმოხილვა)

ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საარქივო ცენტრია. საუკუნეთა განმავლობაში ქალაქის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა სტატუსმა განაპირობა აქ მრავალფეროვანი საარქივო დოკუმენტების თავმოყრა, რომლებიც სხვადასხვა უწყებაში იყო დაცული. მათი შენახვის ცენტრალიზაციის პროცესი 1921 წელს დაიწყო, როცა 1921 წლის 11 მარტს ქუთაისის რევოლუციურ კომიტეტთან დაინიშნა 1920 წელს შექმნილი საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის რწმუნებული, რომელიც 1925 წლის 1 ნოემბერს საქართველოს ცენტრარქივის ქუთაისის განყოფილებამ შეცვალა.

1930 წელს ცენტრარქივის ქუთაისის განყოფილება გარდაიქმნა საქალაქო არქივად, რომელსაც მოგვიანებით ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი ეწოდა.

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე დაარსდა საქართველოს სსრ-ის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ქუთაისში, რომელმაც შემდეგში რამდენჯერმე განიცადა სტრუქტურული ცვლილება. 2007 წლიდან ქუთაისის ცენტრალური არქივი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სტრუქტურული ერთეულია.

არქივის ფონდებში, ძირითადად, დაცულია XVIII-XXI საუკუნეების დოკუმენტები. აქ ინახება, იმერეთის მეფეების სიგელები და წყალობის წიგნები, მღვდელთმთავართა წყალობის სიგელები, მოსახლეობის სხვადასხვა წლების აღწერის მასალები, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, გაბრიელ ეპისკოპოსის, ლეონიდე ეპისკოპოსისა და სხვათა ავტოგრაფები, ნიკო ნიკოლაძისა და სოლომონ აშორდიას სასამართლო პროცესების ჩანაწერები, ცნობილ პიროვნებათა ნამსახურების სიები, ქალაქების - ქუთაისის, ბათუმის, ფოთის გეგმები, სხვადასხვა ქალაქების გამორჩეული შენობის პროექტები და მშენებლობის ისტორიები. დაცულია მრავალი დოკუმენტი XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთისა და აჭარის ისტორიისათვის.

დღეისათვის არქივში დაცული დოკუმენტები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა ორი ტრაგიკული შემთხვევა: 1906 წლის იანვარში ქუთაისში რევოლუციური გამოსვლებისას ხანძრის შედეგად განადგურდა შენობა, რომელშიც საგუბერნიო მმართველობის არქივი იყო მოთავსებული, განადგურდა 110 000 შესანახი ერთეული, ძირითადადად XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და კიდევ უფრო ადრინდელი დოკუმენტები; ქუთაისის არქივმა ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობრივი დანაკარგი განიცადა 1919-1920 წლებში, როდესაც მისი მასალების ნაწილი ჩრდილო კავკასიაში იყო ევაკუირებული.

ამჟამად ქუთაისის ცენტრალურ არქივში თავმოყრილია ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის, ხონის, ვანის, ბაღდათის, საჩხერის, ჭიათურისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების საარქივო საქმეები. სულ დაცულია 4222 ფონდის 900 000 - მდე შესანახი ერთეული, აქედან - მმართველობითია 2000 ფონდის 583 071 შესანახი ერთეული.

თამარ გაბუნია
საისტორიო ცენტრალური არქივი

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილების ხელნაწერთა ფონდში დაცული კარაბადინები

საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილების ხელნაწერთა ფონდში 1000-მდე ხელნაწერია დაცული. ხელნაწერთა ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XX საუკუნეებს შორის მერყეობს. ფონდის დიდი ნაწილი 1921 წლიდან არის შემოსული ეროვნულ არქივში.
ფონდში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს სამედიცინო შინაარსის ხელნაწერებს - კარაბადინებს. მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მოხსენების მიზანია ეროვნულ არქივში დაცული კარაბადინების წარმოდგენა და მათი მნიშვნელობის წარმოჩენა.

მაკა კირვალიძე
საისტორიო ცენტრალური არქივი

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული აღმოსავლური საბუთები

საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში, სხვა მნიშვნელოვან და საინტერესო საბუთებთან ერთად, დაცულია აღმოსავლური - არაბული, სპარსული და თურქული საბუთები, რომელთა კოლექციები 1923 წელს შეიქმნა.
არაბული, სპარსული და თურქული საბუთები გაბნეული იყო XIX საუკუნის კავკასიის ადმინისტრაციულ დაწესებულებათა არქივებში.
ამ საარქივო ფონდების საისტორიო არქივში თავმოყრის შემდეგ, ხდებოდა ზემოხსენებული დოკუმენტების საქმეებიდან ამოღება კოლექციების შექმნის მიზნით.
მოხსენება დაფუძნებული იქნება 1452, 1453, 1454 ფონდებსა და მათ ანაწერებზე.
სპარსული საბუთების კოლექციაში (ფ. 1452) დაცულია შაჰების ფირმანები, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის განკარგულებები, რუსეთის სამხედრო ხელისუფლების ბრძანებულებები, ნასყიდობის სიგელები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, თხოვნები შაჰებისა და ხანების

რეზოლუციებით, მათი მიმართვები კავკასიის ხალხებისადმი, ხანების მიმოწერა საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებასთან.
თურქულ საბუთებში (ფ. 1453) დაცულია შემდეგი შინაარსის დოკუმენტები: სულთნებისა და ფაშების ფირმანები და მამულებისა და თანამდებობების წყალობის ბრძანებები გასამრჯელოსა და პენსიის დანიშვნის, გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ.
არაბული საბუთები (ფ. 1454) მოიცავს საკითხებს: კავკასიის მუსლიმანური პროვინციების მმართველთა და მოსახლეობის წერილებს საქართველოს მთავარმართებელთა და მეზობელი სახანოებისადმი მშვიდობიანი ურთიერთობის აღდგენის, საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის, რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული პენსიების ანაზღაურების, თუშებისათვის ადრე შეწერილი ბეგარის განახლების, ალექსანდრე ბატონიშვილთან დამოკიდებულების, ელჩების მიღების და საჭირო შემთხვევაში პასუხის გასაცემად ადათ-წესების მცოდნე რწმუნებულების არჩევის შესახებ და სხვა.
საკვლევი თემა კიდევ ერთხელ ადასტურებს ეროვნულ არქივში არსებული დოკუმენტების მნიშვნელობას, მრავალფეროვნებას და როლს ჩვენი ქვეყნისა და სხვა სახელმწიფოების ისტორიის შესწავლის საქმეში.

თამარ ბჟალავა
სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა

ეროვნული არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი გამოცემები

ეროვნული არქივი საქართველოში ერთ-ერთ უმდიდრეს სამეცნიერო ბიბლიოთეკას ფლობს. პირველი და ძველნაბეჭდი წიგნები, ქართული და უცხოური ბიბლიოგრაფიული იშვიათობები ათწლეულებია ამ ბიბლიოთეკაში იყრის თავს და ხშირ შემთხვევაში მკვლევარისა თუ დაინტერესებული პირისთვის ფასდაუდებელი განძია.
წინამდებარე მოხსენებაში სხვადასხვა ნიშნით განსაკუთრებით მნიშვნელოვან და იშვიათ გამოცემებზე მექნება საუბარი.

თეა ქათამაძე
ქუთაისის ცენტრალური არქივი

ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხეილ თამარაშვილის ორი უცნობი წერილი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი

თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო საქართველოში, ქართველ თავადაზნაურთა პირველი წოდებრივი ორგანიზაცია, შეიქმნა 1803 წელს საქართველოს მთავარმართებლის - პავლე ციციანოვის ხელმძღვანელობით. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულო მოწყობილი იყო რუსეთის შიდა გუბერნიების თავადაზნაურული ორგანიზაციების მსგავსად. ცარიზმის სოციალურ-პოლიტიკური და საადგილმამულო გეგმები ზოგჯერ ქართველი თავადაზნაურების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ცარიზმი ანგარიშს უწევდა ქართველ თავადაზნაურთა მხოლოდ იმ მოთხოვნებს, რომლებიც რუსეთის პოლიტიკას შეესაბამებოდა. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დაარსებით ცარიზმს სურდა ქართველი თავადაზნაურობა ერთიან, კონსოლიდირებულ წოდებად ჩამოეყალიბებინა, სოციალურ-პოლიტიკურად რუს მემამულე „პომეშჩიკებთან“ გაეთანაბრებინა და თავის სოციალურ და პოლიტიკურ დასაყრდენად ექცია.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს ფონდი.

ფონდის სიმდიდრეა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლების ნამსახურების საქმეები (მარშლებიდან 4 გენერალი იყო, 2 კი ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი - სამოქალაქო გენერალი). მათ შორის არიან: დიმიტრი ყიფიანი, დავით ნიჟარაძე, სიმონ წერეთელი და სხვა. ფონდში დაცულია ბევრი საინტერესო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ეროვნულ საქმიანობას ეწეოდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულო. აქედან ჩემი ყურადღება მიიპყრო ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხეილ თამარაშვილის ორმა ძალიან საინტერესო წერილმა, რომელიც ადასტურებს, რომ საკრებულო არა მარტო ქუთაისის გუბერნიის მასშტაბით ეწეოდა ქართული საქმის კეთებას, არამედ, როგორც ირკვევა, საქართველოდან წასულ არა ერთ ქართველ მოღვაწეს ეხმარებოდა.

ნინო ბადაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილება

ბერძნები საქართველოში - ეროვნული არქივის მასალის მიხედვით

ეროვნული არქივის კოლექციებში საქართველოში მცხოვრები ბერძნების შესახებ მრავალფეროვანი მასალაა დაცული: ბერძნულენოვანი ისტორიული საბუთები, საგალობლები, ფოტოები, შენობა-ნაგებობათა პროექტები და გეგმები; დოკუმენტები ბერძნული სასწავლებლების, საქველმოქმედო საზოგადოებების, ტაძრების, ბერძენი სასულიერო პირების, ოსტატების, მეწარმეების შესახებ და სხვა. მთელი ეს მასალა ბერძნების ცხოვრებასა და ორი ხალხის ურთიერთობებს ასახავს. მათ შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეული თავისებურებით გამოირჩეოდა. დოკუმენტური წყაროები ადასტურებს, რომ დევნილმა ბერძნებმა მოახერხეს საქართველოში საკუთარი სოციალური პირობების გაუმჯობესება, ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობების აწყობა, საკუთარი დიასპორის გამაგრება, ეკლესიების აგება და საზოგადო და საეკლესიო-სამრევლო ბერძნული სკოლების გახსნა.

ქეთევან მაჭარაშვილი
გორის ადგილობრივი არქივი

1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებული დოკუმენტები გორის ადგილობრივ არქივში

2024 წელს 100 წლისთავი შესრულდა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენიდან - 1924 წლის აჯანყების ჩახშობიდან.
გორის ადგილობრივ არქივში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომელიც ამ მოვლენასთან არის დაკავშირებული და ზოგიერთ მათგანს გარკვეული სიცხადე შეაქვს აქამდე უკვე ცნობილი საკითხების დაზუსტებაში. დოკუმენტების დიდი ნაწილი შეუსწავლელია.
მოხსენების მიზანია ამ დოკუმენტების თავმოყრა და ანალიზი.

თინათინ კალმახელიძე
საისტორიო ცენტრალური არქივი

ნოე ცინცაძე და ჰარვარდ-ლევილის დოკუმენტების უნიკალური კოლექცია

ისტორიული მეხსიერების თაობებისთვის გადასაცემად საჭიროა ფაქტობრივი დოკუმენტაცია და, შესაბამისად, მისი მოვლა-პატრონობა. საქართველოს ეროვნულ არქივში არსებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთ-ერთი უნიკალური დოკუმენტაციაა ჰარვარდ-ლევილის კოლექცია, რომელიც იქმნებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) დროს. გასაბჭოების შემდეგ (1921 თებერვალი) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წევრებმა (გეგეჭკორი, კანდელაკი, ჩხენკელი, ერაძე, ცინცაძე, ასათიანი, ჟორდანია, რამიშვილი, ჩიჩუა, ბერიშვილი) საფრანგეთში ემიგრაციაში წასვლის დროს, თან წაიღეს საქმისწარმოების დოკუმენტაცია, რათა ისინი გამოეყენებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ ეს ოცნება ოცნებად დარჩა, ისინი ემიგრაციაში აღესრულნენ. თუმცა, დოკუმენტაცია საქართველოში თითქმის 80 წლის შემდეგ დაბრუნდა.

ნოე ცინცაძემ ჩაუყარა საფუძველი დოკუმენტაციის საქართველოში დაბრუნების მოლაპარაკებას. მართალია, პირველი რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის წევრებიდან უკანასკნელი მოჰიკანი ის იყო, თუმცა დოკუმენტების საქართველოში დაბრუნებას ვეღარ მოესწრო. მისია ბოლომდე მიიყვანეს პროფესორმა გურამ შარაძემ და ნოე რამიშვილის დის შვილებმა, მამია და შალვა ბერიშვილებმა.

საკვლევი თემა ეხება ჰარვარდ-ლევილის უნიკალური კოლექციის ბედს, საქართველოდან გასვლიდან დაბრუნებამდე და ცინცაძის როლს ამ კოლექციის გადარჩენა - დაბრუნებაში.

აღნიშნული კვლევა კიდევ ერთხელ დაადასტურებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰარვარდ-ლევილის კოლექციის არსებობას საქართველოს ისტორიული მეხსიერებისთვის და ეროვნული არქივის პასუხისმგებლობას და როლს ერის ისტორიული მეხსიერების დაარქივებაში, შენახვასა და პატრონობაში.

მარინა სხირტლაძე
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი

„მე გალაკტიონი ვარ“ - ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაცული დოკუმენტების მიხედვით

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში გალაკტიონ ტაბიძის წინააღმდეგობრივი ხასიათის, ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი არაერთი საინტერესო დოკუმენტია დაცული. მუდამ ვაწყდებით რაღაც ახალს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ რა შეუცნობელია ეს ფენომენი. ამჯერად აქცენტები მის არტისტიზმს მიემართება.

პრობლემა, რომელსაც ნაშრომში ვეხებით არახალია. „მეფე პოეტმა“ ეს პრობლემა ასე განმარტა: „საზოგადოება ვერ ითმენს ადამიანს, რომელიც მას არ ჰგავს ...“. გალაკტიონის ადამიანური სურვილი ყურადღების მიპყრობისა, ხშირად თვითნებურ სიამაყედ აღიქმებოდა.

დიდი პოეტის ჩანაწერებისა და მოგონებების კვალდაკვალ გამოიკვეთა ეპოქის უკუღმართობისა და ადამიანთა გულგრილობის პრობლემა.

ამ პრობლემის მოგვარება შეხსენებაშია - „მე გალაკტიონი ვარ“, „შეგვახსენა“ პოეტმა. სწორედ შეხსენებას ისახავს მიზნად ნაშრომში მოხმობილი დოკუმენტები.

ქეთევან გაბიძაშვილი
ქუთაისის ცენტრალური არქივი

კოლმეურნეობებისათვის მიწის სამუდამო სარგებლობის სახელმწიფო აქტები, როგორც ისტორიული წყარო

საქართველოში რამდენიმე წელია წარმატებით მიმდინარეობს მიწის რეგისტრაცია, ჩვენ ქვეყანაში მსგავსი სამუშაო სხვა დროსაც ჩატარებულა. პირველი მასობრივი, მიწის გამიჯვნითი სამუშაოები 1861 წლის საგლეხო რეფორმას უკავშირდება და მე-19 ს-ის 70-იან წლებში დაიწყო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ხელისუფლებამ მიწის რეფორმის გატარება ვერ შეძლო. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, 1921 წლის 6 აპრილს საქართველოს სსრ რევოლუციურმა კომიტეტმა მიიღო დეკრეტი მიწის ნაციონალიზაციის შესახებ, მიწა სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. 1927 წელს დაწყებულმა სასოფლო-სამეურნეო არტელები - კოლმეურნეობების ჩამოყალიბებამ დღის წესრიგში დააყენა მათთვის მიწის გადაცემა, რომელიც პრაქტიკულად სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის, 7 ივლისის დადგენილებით „სასოფლო-სამეურნეო არტელზე სახელმწიფო აქტებით მიწების უვადო (სამუდამო) სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ დაიწყო. მიწის გადაცემა, უფრო სწორად, მათ საკუთრებაში უკვე სახელმწიფოსაგან მიღებული მიწის დაკანონება ხდებოდა სპეციალური სახელმწიფო აქტით.

სახელმწიფო აქტი მიწის უვადო (მუდმივი) სარგებლობისათვის ეძლეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელს, ხოლო მისი მეორე ცალი ინახებოდა რაიონის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში. აქტის მიხედვით მიწა, რომელიც არტელს გადაეცა, იყო სახელმწიფო საკუთრება. იგი მუშურ-გლეხური სახელმწიფო კანონების თანახმად, ეკუთვნოდა არტელს უვადო სარგებლობისათვის, ე. ი. სამუდამოდ და არ შეიძლებოდა მისი არც ყიდვა-გაყიდვა, არც იჯარით გაცემა. აქტი აწესებდა არტელის სარგებლობაში მყოფი მიწის საზღვრებს, რომელთა შემცირება არ შეიძლებოდა. აქტის ერთ-ერთ ფურცელზე მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო არტელის მიწების გეგმა შესაბამისი აღწერილობით. დოკუმენტი დადასტურებულია რაიონის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, სამიწათმოქმედო განყოფილების გამგის და უფროსი მიწათმომწყობის ხელმოწერით.

ქუთაისის ცენტრალური არქივის რეგიონული განყოფილების შესაბამის ფონდებში, ძირითადად, რაიონების სოფლის მეურნეობის სამმართველოს ფონდებში, დაცულია 6 რაიონის, 187 სოფლის, 1935-1974 წლების 300-მდე აქტი კოლმეურნეობათა მიერ მიწის სამუდამო სარგებლობის შესახებ.

სახელმწიფო აქტი მიწის სამუდამო სარგებლობისათვის კოლმეურნეობათა მიერ მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ცალკეული სოფლების ისტორიის შესწავლისათვის. მასში დაცული ინფორმაცია გეოგრაფიული არეალის განსაზღვრის, მიწის

ფართობის დადგენის და გაზრდის ფაქტების, ასევე ტოპონიმების აღრიცხვის საშუალებას იძლევა. ცალკეული რაიონების აქტების გაერთიანებით, შესაბამისის კომპიუტერული დამუშავებით, შესაძლებელია თითოეული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის საერთო სურათის შექმნა.

ირმა ჯაყელი
გურიის რეგიონული არქივი

გურიის რეგიონული არქივი

1936 წლის 1 მარტს მახარაძის (დღეს: ოზურგეთი) რაისაბჭოს აღმასკომთან დაარსდა საარქივო ბიურო, რომელიც 1938 წლის დეკემბრიდან რაიონულ სახელმწიფო არქივად გადაკეთდა, შემდეგ კი, 1965 წელს, რესპუბლიკის საარქივო ქსელის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით - საქართველოს სსრ ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მახარაძის ფილიალად. ქალაქის საბჭოს 1965 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით, ცენტრალური სახელმწიფო არქივის მახარაძის ფილიალს გამოეყო 600 კვ. მიწის ფართობი და საფუძველი ჩაეყარა არქივის შენობის მშენებლობას. 1971 წლიდან მახარაძის ფილიალი საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დაექვემდებარა. 1973 წლის 1 იანვრიდან ფილიალთან შეიქმნა დოკუმენტური მასალების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფი. ფილიალს ექვემდებარებოდა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონული საარქივო განყოფილებები. ამ სახელწოდებით არქივი ფუნქციონირებდა 1990 წლამდე. 1990 წლიდან 2003 წლამდე ის იწოდებოდა ოზურგეთის რაიონულ არქივად, 2004-2017 წლებში კი ოზურგეთის რეგიონულ არქივად, ხოლო 2018 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს როგორც სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გურიის რეგიონული არქივი, რომლის ფონდსაცავი დღეისათვის ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუდმივი და პირადი ხასიათის 846 ფონდის 231186 ერთეულს (საქმეს) ითვლის. ეს დოკუმენტები ოზურგეთის ისტორიის ცოცხალი, მეტყველი მატიანეა.

გურიის რეგიონულ არქივში დაცული ოზურგეთის სამაზრო რევკომისა (1921-1922) და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის დოკუმენტები (1919-1930) მოგვითხრობენ გურიაში მომხდარ „სოციალისტურ გარდაქმნებზე“, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის, კოლექტივიზაციის გატარების, „წარსულის მავნე გადმონაშთების“ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ცნობები ჩაის პლანტაციების გაშენების, სხვადასხვა დღესასწაულის ჩატარებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიის დოკუმენტური მასალები (1930-2015) ასახავენ აღმშენებლობით პერიოდს. დაცულია მასალები მიწათმოწყობის, ბინათმშენებლობის, საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკებისა და გზების მშენებლობის, რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის

განვითარების, სახელმწიფო მიწების კოლმეურნეობებზე მუდმივ სარგებლობაში გადაცემის, რაისაბჭოს აღმასკომის სხდომის ოქმები სასოფლო საბჭოების მუშაობასა და სხვა საკითხებზე.
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (1932-2006) დოკუმენტური მასალები მოგვითხრობენ ქალაქის კეთილმოწყობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ. ფონდში დაცულია საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომების ოქმები, სესიების გადაწყვეტილებები, ინფორმაციები ქალაქში საცხოვრებელი სახლების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის, პარკების, სკვერების, ქუჩების კეთილმოწყობის, რადიოფიკაციის, სატელეფონო კავშირის მოწესრიგებისა და სხვა საკითხებზე.
არქივში დაცულია განათლების განყოფილების (1930-2004), ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სასწავლებლების, ტექნიკუმების სასწავლო პროცესების ამსახველი მასალები.
ანასეულის ჩაის მრეწველობის სრულიად საკავშირო -კვლევითი ინსტიტუტის ფონდი მოიცავს 1951-1965 წლების მასალებს, სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს, მიმოწერებს სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებთან, მოხსენებით ბარათებს კვლევითი მუშაობის მიმდინარეობაზე და სხვა.
მრეწველობის განვითარებაზე მოგვითხრობენ მახარაძის მაღაროთა სამმართველოს, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის, ჩაის ფაბრიკების, ღვინისა და საკონსერვო ქარხნების დოკუმენტები.
განსაკუთრებით ღირებულია არქივში დაცული ფოტოსურათები, რომლებსაც მოხსენებისას ცალკე ადგილი დაეთმობა.

თინათინ სააკაშვილი, მარიამ თამუაშვილი
გორის ადგილობრივი არქივი

გორის ადგილობრივი არქივი - ჩვენი არქივი ჩვენი ისტორიაა

გორის ადგილობრივი არქივი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს სხვა არქივებს შორის. დღემდე ამ არქივის შესახებ ცალკე, თუნდაც საინფორმაციო ხასიათის ნაშრომი არ არსებობს (თუ არ ჩავთვლით მოკლე ექსკურსს წიგნში „საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივები, 1979“). არადა, მისი ისტორია 1925 წლიდან იწყება და მასში საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი ღირებული მასალაა დაცული, რომლის ქრონოლოგია მეოცე საუკუნესა და XXI საუკუნის დასაწყისს მოიცავს.
აღსანიშნავია, რომ წერილობით დოკუმენტებთან ერთად გორის ადგილობრივ არქივში ფოტომასალაც ინახება (როგორც ცალკეული ფოტოები, ისე თემატური ალბომები).
მოხსენებაში, გორის არქივის ისტორიასთან ერთად აქცენტები გაკეთდება ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტებზე. ამ დოკუმენტების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილია ცნობილი საზოგადოებისთვის. დიდი ნაწილი კი ჯერ კიდევ მოითხოვს შესწავლასა და პოპულარიზაციას.

თეა ქიმერიძე
საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებთან
ურთიერთობის განყოფილება

საქართველოს ეროვნული არქივის საიმიჯო ონლაინრესურსები

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალის მნიშვნელობისა და მრავალფეროვნების წარმოჩენა არის ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც ვხელმძღვანელობთ საარქივო დოკუმენტების ონლაინსივრცეში განთავსებისას. ძირითადი პლატფორმა, რომლისთვისაც ამ დანიშნულებით ვიყენებთ, არის ეროვნული არქივის ვებგვერდი.
საქართველოს ეროვნული არქივი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ისტორიის ამსახველ საარქივო დოკუმენტებს ინახავს. გარდა ამისა, ცალკეა წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტები სხვადასხვა მოვლენისა თუ ცნობილი პირის შესახებ.
მასალა დალაგებულია როგორც თემატურად, ისე კოლექციების სახით მულტიმედიური გვერდების, საარქივო კოლექციისა თუ კითხვარების ფორმატით. ცალკეა განთავსებული ეროვნულ არქივში გამართული გამოფენების ონლაინვერსიები.

ქეთევან კობიაშვილი
საისტორიო ცენტრალური არქივი

საისტორიო ცენტრალური არქივის ჩამოყალიბება და გამდიდრება

საისტორიო ცენტრალური არქივი საარქივო მასალის, ისტორიული საბუთებისა თუ ხელნაწერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საცავია ქვეყანაში. მისი, როგორც საარქივო დაწესებულების ისტორია 1920 წლიდან იწყება და აქ დაცული მასალის უდიდესი ნაწილი (პირადი ფონდების გამოკლებით) მოიცავს IX-XX საუკუნეებს.
მოხსენებაში საუბარი იქნება ამ არქივის ისტორიასა და მის სტრუქტურაზე, მის განუზომელ მნიშვნელობასა და ადგილზე ზოგადად ქართულ განძთსაცავებს შორის, მის დიდ როლზე საქართველოს ისტორიის შესწავლის საკითხში.
საისტორიო ცენტრალური არქივი, მიუხედავად მასში დაცული მასალის განსაკუთრებულობისა, ამჟამადაც ივსება, შესაბამისად, მოხსენებაში ამ არქივის მომავალზეც იქნება ყურადღება გამახვილებული.

მაკა კვარაცხელია
თბილისის ცენტრალური არქივი

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - თბილისის ცენტრალური არქივი

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - თბილისის ცენტრალური არქივის ისტორია 1921 წლიდან იწყება, როდესაც რევოლუციური კომიტეტის სტრუქტურაში თვითმმართველობის ყოფილი საუწყებო არქივი საქმეთა მმართველობის ქვეგანყოფილება გახდა, განთავსდა რევოლუციური კომიტეტის შენობის პირველ სართულზე ერთ ოთახში და დაევალა საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების პარალელურად თავი მოეყარა ქალაქ თბილისის თვითმმართველობის დოკუმენტებისთვის, მოეხდინა მისი აღრიცხვა და დაცვა.

თბილისის ცენტრალურმა არქივმა, ისევე, როგორც საქართველოს სხვა არქივებმა, დიდი და საინტერესო ისტორია განვლო. 1921 წლიდან დღემდე ეტაპობრივად იზრდებოდა, განიცდიდა სტრუქტურულ და შინაარსობრივ ცვლილებებს, უმკლავდებოდა საარქივო დარგში შექმნილ სხვადასხვა გამოწვევებს და, რაც მთავარია, თავდადებულად, ერთგულებით და პროფესიონალიზმით ემსახურებოდა საარქივო საქმეს.

თბილისის არქივმა თავისი არსებობის მანძილზე ორჯერ გამოიცვალა ადგილსამყოფელი, 1937 წელს არქივი გადავიდა ჩაიკოვსკის ქუჩაზე, სადაც გამოეყო ორი ოთახი, ხოლო 1972 წლიდან დღემდე, სპეციალურად არქივისთვის აშენებულ ხუთსართულიან შენობაში დაიდო ბინა, რომელიც გათვალისწინებულია 800 000 ათას შესანახ ერთეულზე და დაცულია დოკუმენტების შენახვის, დაცვის, გამოყენების ყველა პირობა.

თბილისის არქივი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იყო ძირითადად საქალაქო დაქვემდებარების დაწესებულება, 1939 წლიდან 40 წლის მანძილზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში იყო, ხოლო 2006 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის - ტერიტორიული ორგანო გახდა.

დღეს, თბილისის ცენტრალურ არქივში დაცულია ნახევარ მილიონამდე დოკუმენტი. არქივის თანამშრომლები სისტემატიურად აწარმოებენ არქივში დაცული დოკუმენტების შენახვას, დაცვას, გამოყენებას.

თემაში შევეხეთ ირაკლი ბერაძის პიროვნებას, რომელიც 60 წლის მანძილზე ემსახურებოდა საარქივო დარგს და 51 წელი ხელმძღვანელობდა თბილისის ცენტრალურ არქივს.

თბილისის ცენტრალურ არქივში მრავლად არის ინფორმაცია თბილისის არქივის შესახებ, მიუხედავად ამისა, ინფორმაცია საჭიროებდა განახლებას და შევსებას.

თემა „საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო - თბილისის ცენტრალური არქივი“ აგებულია თბილისის ცენტრალურ და უახლესი ისტორიის არქივებში დაცულ დოკუმენტებზე, მასში თავმოყრილია ყველა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც ეხება არქივის ისტორიას, მის განვითარებას, სტრუქტურის ცვლილებას, უკვე არსებულ შრომებთან

შეჯერებით ნაშრომმა მოგვცა თბილისის ცენტრალური არქივის ისტორიის, განვლილი გზის სრული სურათი 1921 წლიდან დღემდე. დაგვანახა საარქივო დარგის მნიშვნელობა და ამ დარგში მოღვაწე ადამიანების ამაგი. ისტორიის, წარსული გამოცდილებების ცოდნა და ანალიზი, მყარი საფუძველი და სწორი პრიორიტეტების ხედვის შესაძლებლობაა.

თამარ ლეთოდიანი
დეპოზიტური შენახვის რეგიონული არქივი

ხვამლის ციხე-ქვაბული

ხვამლის მთა ლეჩხუმის ვიზუალურ დომინანტს წარმოადგენს, რომელსაც არაერთი მითი, ლეგენდა თუ ხალხური თქმულება უკავშირდება. მისი სპეციფიკური ფორმა, კლდოვანი სტრუქტურა და სიმაღლე შთამბეჭდავ სურათს ქმნის და დიდი მანძილიდან, მათ შორის დასავლეთ საქართველოს დაბლობის ზოგიერთი მონაკვეთიდან, კარგად აღიქმება.

შუა საუკუნეებში ხვამლის მთას ორი მთავარი ფუნქცია გააჩნდა - საკულტო და მეფეთა განძსადების, რაც წერილობითი წყაროებითა და ფაქტობრივი მასალით დასტურდება.

ხვამლის მთისწინეთში მდებარეობა და ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მახასიათებელი სამეფო განძის დავანების ადგილს სრულად შეესატყვისებოდა. ხვამლის მთა ბუნებრივ მიუდგომელ სიმაგრეს წარმოადგენდა.

ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ XIII საუკუნეში ხვამლის ციხე-ქვაბულში უკვე არსებობდა მეფეთა საგანძურთსადები. სამეფო განძი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 1263-1264 წლებში დავით ულუს და დავით ნარინს შორის გაიყო.

ხვამლის მთაზე ორჯერ, 1939 და 1945 წლებში მოეწყო ექსპედიციები უშუალოდ ციხე-ქვაბულზე ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ძეგლზე წარიმართა არქეოლოგიური სამუშაოები. გამოვლინდა ციხე-ქვაბულზე შესრულებული მხატვრობა, რომლის ასლები ექსპედიციის წევრის, ვერა ბელეცკაიას მიერ იქნა გადმოღებული. ორივე ექსპედიცია ფირზე აღიბეჭდა და დღეს დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში.

ხვამლის მთაზე ოცამდე ქვაბული ფიქსირდება, რომელთაგან ერთ-ერთი მეფეთა განძთსადებს წარმოადგენდა. კლდეში გამოკვეთილი ეს ციხე-ქვაბული სამხრეთი შვეული კლდის შუა მონაკვეთში, კლდოვანი სტრუქტურის ქვედა დონიდან 70 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ის მოგვიანებით არის გაფართოებული. ქვაბულში მოხვედრა დღეისათვის ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია.

ხვამლის ციხე-ქვაბული აერთიანებს ერთმანეთის თავზე განლაგებულ ბაქანს, მთავარ და მცირე ქვაბულებს. ამსვლელი თავდაპირველად ხვდება ბაქანზე, რომელიც კირქვოვან კლდეშია გამოკვეთილი. მთავარი ქვაბული ბაქანის იატაკიდან დაახლოებით 5-6 მეტრის სიმაღლეზეა მოწყობილი. იქ მოხვედრა მისადგმელი კიბის საშუალებითაა შესაძლებელი.

მთავარი ციხე-ქვაბულის ზემოთ, 5-6 მეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით მცირე ქვაბულია (4X3მ) გამოკვეთილი.
ხვამლის ციხე-ქვაბული მდებარეობით, სტრატეგიული და ისტორიული მნიშვნელობით, ფუნქციური დატვირთვით და არქიტექტურული გადაწყვეტით ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს არა მხოლოდ ლეჩხუმის რეგიონისთვის, არამედ მთლიანად ქართულ სასიმაგრო ნაგებობებს შორის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ჯულია ბენიძე
საისტორიო ცენტრალური არქივი

პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი არქივის მასალები შუა საუკუნეების ქართული კულტურული მემკვიდრეობის თაობაზე

დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილის (1855-1936 წწ.) პირადი არქივის მასალები, აგრეთვე პერიოდულ პრესაში მის მიერ გამოქვეყნებული საგაზეთო წერილები ცხადყოფს, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესწავლა მრავალმხრივი ინტერესების მქონე სასულიერო პირის მრავალწლიანი საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო. ჩანს, რომ პოლიევქტოს კარბელაშვილი ქართული სიძველეებით ადრეული პერიოდიდანვე იყო დაინტერესებული. 1870-იანი წლებიდან მოყოლებული, უმთავრესად „ივერია“-სა და „დროება“-ში გამოქვეყნებულ პირველ საგაზეთო წერილებში მოიპოვება მათი აღწერები. აღნიშნულ მასალებში იკვეთება გამორჩეული ინტერესი სიძველეთა აღწერის და მათი იმჟამინდელი გარეგნული იერ-სახის დაფიქსირებისა.
საქართველოს ისტორიის, მისი მრავალფეროვანი კულტურის წარმომჩენი ნივთიერი ძეგლების მოძიების სურვილმა განაპირობა ის ექსპედიციები, რომელსაც პოლიევქტოს კარბელაშვილი ახორციელებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იმჟამად მოქმედი კულტურულ-საგანმანათლებლო და სიძველეთა დამცველი საზოგადოებების დავალებით თუ საკუთარი ინიციატივით, პოლიევქტოს კარბელაშვილმა ინახულა არაერთი ეკლესია-მონასტერი და აღნუსხა იქ დაცული სიწმინდეები. მისი მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტები საკმაოდ მოცულობითია, თუმცა, უმეტესწილად ტექსტები ნაკლულია და აღწერები სრული სახით არ შემორჩენილა; ამის გამო ისინი სრულად ვერ ასახავს სწავლული სასულიერო პირის მიერ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შესახებ თავმოყრილ და დამუშავებულ მასალებს.
მოცულობასთან ერთად მრავალგვარია შეგროვილი მასალა. მკვლევარი აღწერს ეკლესიების ხუროთმოძღვრებას და მოხატულობას; პალეოგრაფიული სიზუსტით გადმოაქვს ფასადებზე დაცული ლაპიდარული წარწერები; იხაზავს ეკლესია-მონასტრების გეგმებს; ასრულებს ფასადებზე შემორჩენილი ჩუქურთმებისა და ორნამენტების, აგრეთვე ინტერიერში არსებული

ფრესკების ჩანახატებს; აღწერს ხელნაწერებს - მათ შედგენილობას და მინიატიურებს. ამ აღწერილობებს თან ერთვის ანდერძ-მინაწერები და მათი საისტორიო ანალიზი; აღნუსხულია ხატები, ჯვრები, საღვთისმსახურო ნივთები და ეკლესიაში დაცული სხვა სიძველეები და მათი წარწერები. ამასთანავე, გადმოწერილი აქვს ეკლესიაში და მის გარშემო არსებული საფლავების ეპიტაფიები.

თავმოყრილი მასალების გამოსაცემად მომზადებისას, როგორც წესი, პოლიევქტოს კარბელაშვილი კომენტარებს ამატებდა. იმ პერიოდისთვის ცნობილ საისტორიო წყაროებში იგი ეძებდა მონაცემებს ეკლესიების, აგრეთვე ლაპიდარულ და ფრესკულ წარწერებში, ისევე როგორც ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებულ პირთა შესახებ. იმოწმებდა საქართველოს ისტორიის პირველწყაროებს, იმავდროულად კი ეცნობოდა, როგორც თანადროულ, ისე ადრეული პერიოდის ქართველ თუ უცხოელ მოგზაურთა, სიძველეთა მოყვარულთა და მეცნიერთა მიერ მოპოვებულ მასალებს, ადარებდა საკუთარ აღწერებს, დაკვირვებებსა და დასკვნებს.

ნიკა კაპანაძე
საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილება

1921 წელს საქართველოდან გატანილი განძის ისტორიიდან

საყოველთაოდ ცნობილია 1921 წლის თებერვალში, საქართველოში რუსული ჯარების შემოსვლის შემდეგ დევნილი მთავრობის მიერ განძის უცხოეთში გატანის შესახებ. ასევე ცნობილია მარშრუტი, რომელიც ამ განძმა გაიარა: თბილისიდან ქუთაისში, ქუთაისიდან - ბათუმში, ბათუმიდან კი, გარკვეული თავგადასავლების შემდეგ, განძმა საფრანგეთში დაიდო ბინა.

ცნობილია, რომ განძი 24 წლის განმავლობაში იყო მოწყვეტილი სამშობლოს და ინახებოდა საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში. 1944 წელს გენერალ შარლ დე გოლის განკარგულებით განძი გადმოიტანეს საქართველოში, რომელსაც თან მოხუცებული ექვთიმე თაყაიშვილი ახლდა. სიმონ ჯანაშიამ განძის საქართველოდან გატანისა და დაბრუნების ისტორიას „სრულიად განსაკუთრებული ოდისეა“ უწოდა.

მოხსენების მიზანია თავი მოვუყაროთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ტიპის ლიტერატურას (როგორც სამეცნიერო, ისე პოპულარული), საარქივო დოკუმენტებს და ფოტომასალას და ერთიან ჭრილში იქნეს წარმოდგენილი საზოგადოების წინაშე.

ლიზა მურადაშვილი
საქართველოს ეროვნული არქივის საორგანიზაციო განყოფილება

ელენე მაისურაძის უცნობი დღიური / მოგონება

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში, დამფუძნებელი კრების ფონდში (N1833) ინახება ელენე მაისურაძის დღიური/მოგონება, რომელიც გამოუქვეყნებელია და, შესაბამისად, საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი.

დღიურში მოთხრობილია 1917-1920 წლების მოვლენები: რუსეთის რევოლუციის შემდეგ, ე. წ. გარდამავალ ეპოქაში, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და ა. შ.

მებრძოლი რევოლუციონერი ქალი, ელენე, როგორც მოწყალების და, მუდმივად ფრონტის სიახლოვესაა და დახმარებას უწევს სახალხო გვარდიის წევრებს. იგი, როგორც თვითმხილველი და ამ მოვლენების მონაწილე, ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოგვცემს რესპულიკის გვარდიის შეტაკებებს საბჭოთა რუსეთთან, ოსმალეთთან, სომხეთთან.

ელენე მაისურაძის მოგონებები მნიშვნელოვანია, როგორც თვითმხილველის ჩანაწერები და ასევე როგორც ქალის თვალით დანახული და შეფასებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაც, ძირითადად, გვარდიის სამხედრო მოქმედებებთან და გადაწყვეტილებებთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობთ, მემუარი ღირებული უნდა იყოს, ასევე, ელენე მაისურაძის ქმრის - სანდრო მაისურაძის, როგორც სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და გამოჩენილი სოციალ-დემოკრატის ფიგურით დაინტერესებული პირებისთვის. ბუნებრივია, მეუღლის საბრძოლო მოქმედებების აღწერას ჩანაწერში ძირითადი ადგილი უკავია.

ცნობილია, რომ მემუარული ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში სუბიექტური და ტენდენციური ხასიათისაა. ცხადია, არც აღნიშნული მოგონება წარმოადგებს გამონაკლისს. ავტორი ხშირად გაზვიადებულად წარმოაჩენს ზოგიერთ საკითხს, თუმცა, მთლიანობაში ჩანაწერი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა, საიდანაც შესაძლებელია ღირებული ინფორმაციის მიღება.

თამთა შონვაძე
საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილება
თეონა ლაზაშვილი
საზოგადოებას და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

საგამოფენო საქმე ეროვნულ არქივში ერთი პროექტის მიხედვით

წინამდებარე მოხსენება ერთგვარი მცდელობაა ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში ვირტუალური გამოფენა წარმოვადგინოთ სასურველი შინაარსითა და ეფექტებით, შესაბამისად, გათვლილი როგორც იდეასა და კონცეპციაზე, ისე ვიზუალურ ეფექტზე.

გამოფენის თემა თბილისია, ძირითადი აქცენტებით. შევეცდებით წარმოვადგინოთ თბილისის ცხოვრება XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ისტორიულ-არქიტექტურულ ჭრილში კომპიუტერული გრაფიკის დახმარებით.

მოხსენების დროს დიდი წილი დაეთმობა პრეზენტაციას, რომელშიც გაცოცხლებული იქნება ეროვნულ არქივში დაცული საარქივო და ფოტომასალა, პროექტები, ნახაზები, მოგონებები.

ქეთევან ასათიანი
საქართველოს ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილება

მმაჩის არქივში გაბნეული საკუთარი სახელები

არქივში არსებული მონაცემების მიხედვით მმაჩი საქართველოს გასაბჭოებისთანავე ჩამოყალიბდა, კერძოდ, 1921 წლის 25 აპრილს საქართველოს სსრ რევკომმა გამოსცა დეკრეტი N28 მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების შესახებ. ამ დეკრეტის მიხედვით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების წარმოება შეეძლოთ მხოლოდ საერთო დაწესებულებებს, რომლებიც იმყოფებოდნენ თემის, მაზრის და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტების (რევკომების) შინაგანი მმართველობის განყოფილებასთან.
მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებები დაარსდა: ცენტრალური - შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განყოფილებასთან, ადგილობრივი - თემის, მაზრის და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტებთან.
მმაჩის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის ოფიციალურად დაფიქსირება (დაბადება, გარდაცვალება, გვარ-სახელის შეცვლა...) და პიროვნების ერთი მოქალაქეობრივი მდგომარეობიდან მეორეში გადაყვანა (ქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა) ... ბუნებრივია, რომ მის მუშაობას თავიდანვე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.
ერთი პატარა, მაგრამ საყურადღებო დეტალი: 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო ოფიციალურად გასაბჭოვდა, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი აქტების ბლანკები კი უკვე ამავე წლის აპრილში მზად იყო.
საქართველოს „გაწითლებიდან“ ზუსტად ერთ თვეში ბოლშევიკებმა მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი აქტების საკითხი დააყენეს და მათი სისტემაში მოყვანა სცადეს. პირველი აქტები გარკვეულ ნაირგვარობას უჩვენებს როგორც ფორმის, ისე შინაარსის თვალსაზრისით. ზოგან აშკარად ვერ არის ბოლომდე შეღწეული საბჭოთა ნომენკლატურა და შიგადაშიგ აქტის შემვსებს „ეპარება“ სააქტო ჩანაწერის ძველი ფორმები. თუმცა ამდაგვარ მოვლენებს, როგორც ჩანს, საგანგებოდ ებრძოდნენ, მეტიც, ეპოქათა გასაყარზე ჯერ კიდევ მეტრიკული ჩანაწერების ყაიდით შექმნილი საბუთები გადმოწერილია და მმაჩის აქტის ფორმითაა წარმოდგენილი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით არქივში ორივე ვარიანტი იქნა შემონახული, რამაც მეტრიკული წიგნებიდან მმაჩის არქივზე გადასვლის პროცესის გარკვეული ფრაგმენტები აღგვიდგინა.
ფორმები უსწრაფესად გამზადდა, თუმცა, კარგა ხანი იხვეწება ენა, ფორმა, ცალკეული დეტალები, აქტების ნაირსახეობები.
ხშირად, გარდა ძირითადი სააქტო ფორმებისა (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა, სახელისა და გვარის შეცვლა), იყო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, უკანონო შვილთა, წლოვანების დადგენის სააქტო ჩანაწერები... თუმცა, შემდგომში ამ ძირითად ვარიანტებზე გაჩერდა სააქტო ფორმის სახე.

მრავალმხრივაა საინტერესო მმაჩის არქივი, გარდა სტატისტიკური მონაცემებისა, რომელთა მოწოდება მას უტყუარი სახით შეუძლია იმ პირობებშიც კი, როცა რეჟიმის ხასიათი ტოტალურ გაყალბებებს ითვალისწინებდა, ის შინაარსობრივადაც ძალიან მნიშვნელოვანია.
მოხსენებაში საუბარი იქნება მმაჩის გაბნეული საკუთარი სახელების შესახებ, რომელთაც ცვლილება ან გარკვეული სახით ჩვენამდე მოღწევა ეპოქათა მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული და გარკვეულ ისტორიულ ელფერს ატარებს.